

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის გარკვეული საკანონმდებლო დებულებების დაზუსტება პრაქტიკაში არსებული მიდგომების და საჭიროებების გათვალისწინებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკანონმდებლო დონეზე დაამკვიდროს ის დებულებები, რომლებიც პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე წარმოადგენს აუცილებლობას სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის განკარგვისთან მიმართებაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შედის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც უქმდება სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდის პროცედურა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდის პროცედურა აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით დარჩება მხოლოდ სპეციალური ჭრების შედეგად ამოღებული მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის.

აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის კუთხით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ კანონის მე-3 მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გადამხდელები, არ ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მოსარგებლეს - როგორც მოსაკრებლის გადამხდელს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მოსარგებლე, როგორც მოსაკრებლის გადამხდელი კანონის მიხედვით არ არსებობს. შესაბამისად, კანონპროექტიც ითვალისწინებს არსებული ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრას, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ მერქნულ რესურსთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული მიდგომებიდან და საჭიროებებიდან.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება, იმ პირთათვის, რომლებზეც გავრცელდება მისი მოქმედება, იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე, იმ თვალსაზრისით, რომ კანონით დაზუსტდება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსით მოსარგებლე არ გადაიხდის მოსაკრებელს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის მიღება არ განსაზღვრავს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.